# ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №13

## 2012 წლის 27 მარტი

## ქ. ცაგერი

## ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 29 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, „ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 29 თებერვლის №5 დადგენილებაში (ვებგვერდი, 09/03/2012) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

**მუხლი 1**

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გამგეობა არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებების შესრულებას.“.

**მუხლი 2**

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გამგეობის სტრუქტურული ერთეულები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოები მოქმედებენ კანონიერების, საჯაროობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის პრინციპების დაცვით.“.

**მუხლი 3**

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **მ. ლეთოდიანი**